

ფინანსები

ბალტიისპირეთის ქვეყნების უმაღლესი განათლების დაფინანსების პოლიტიკა და გამოწვევები

სალომე გოგიაშვილი

salome.gogiashvili@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.15>

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს ბალტიისპირეთის ქვეყნების (ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვას) უმაღლესი განათლების დაფინანსების პოლიტიკას და გამოწვევებს. ნაშრომის მიზანია ამ გამოცდილების საქართველოს კონტექსტში გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა. კვლევის მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე სჭირდება სრულყოფილი უმაღლესი განათლების სისტემა, უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმირების აუცილებლობის წინაშე, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დაფინანსების პოლიტიკის გაუმჯობესებას. ბალტიისპირეთის ქვეყნების, როგორც პოსტ-საბჭოთა სივრცის წარმატებული მაგალითების, გამოცდილება წარმოადგენს ღირებულ რესურსს ამ მიზნის მისაღწევად. წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები უმაღლესი განათლების დაფინანსების ეფექტიანობის გასაზრდელად, რაც შეუძლია საქართველოს გამოიყენოს, რათა ხელს შეუწყოს სისტემის მდგრადობას, ხარისხის გაუმჯობესებას, ხელმისაწვდომობის გაზრდას. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება იმ ინსტიტუციურ და საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებიც აუცილებელია ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმატებული გამოცდილების ეფექტიანად ადაპტირებისთვის საქართველოს რეალობაში.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლება, დაფინანსების პოლიტიკა, ბალტიისპირეთის ქვეყნები, საქართველო, ევროინტეგრაცია.

საქართველოს უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, ეფექტიანობის თვალსაზრისით. ბალტიისპირეთის ქვეყნები, საქართველოსთვის მნიშვნელოვან და ღირებულ მაგალითს წარმოადგენენ ვინაიდან ამ ქვეყნებს ბევრი საერთო ახასიათებთ, ეს არის პოსტ-საბჭოთა გამოცდილება, ევროინტეგრაციისკენ სწრაფვა, მცირე ზომის ეკონომიკა. აღსანიშნავია ის გზა, რომელიც ესტონეთმა, ლიეტუვამ და ლატვიამ გაიარა უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბების თვალსაზრისით და რომელიც შესაბამისობაში

მოდის ევროპულ სტანდარტებთან. არსებობს მიზეზები, თუ რატომაა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და ღირებული ბალტიისპირეთის ქვეყნების უმაღლესი განათლების დაფინანსების პოლიტიკა, რეალობა და გამოწვევები. ეს არის წარმატებული რეფორმების გაზიარება, ინოვაციური დაფინანსების მოდელების შექმნა, ევროკავშირის ხელთ არსებული, რესურსების ეფექტიანი გამოყენება, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება და თანხვედრა, კვლევის დაფინანსების გაძლიერება და ინოვაციურობა.

ბალტიისპირეთის ქვეყნები, **ესტონეთი, ლიეტუვა და ლატვია** გამორჩეულები არიან მაღალი ხარისხის განათლების სისტემით, რომელიც აგებულია სხვადასხვა ერების საგანმანათლებლო სისტემის საფუძველზე და მთავარ მამოძრავებელ ძალას, ინოვაციურობა, ინკლუზიურობა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება წარმოადგენს. ტრადიციების და თანამედროვეობის შერწყმა, წარმატებული საგანმანათლებლო რეფორმების გაზიარება აყალიბებს გლობალურად კონკურენტუნარიან ინდივიდებს, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო მასშტაბებზე. დროის განსხვავებულ მონაკვეთში არსებული სირთულეების მიუხედავად განათლება ყოველთვის იყო პრიორიტეტული მიმართულება, სხვადასხვა სფეროში არსებული გამოწვევების დასაძლევად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბალტიისპირეთის ქვეყნები ბევრი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. 2004 წლის 1 მაისს, მას, შემდეგ, რაც ესტონეთი, ლიეტუვა, და ლატვია ევროკავშირში გაწევრიანდნენ, საჭირო იყო ახალი რეფორმების გატარება, რომელიც გაიზიარებდა წარმატებული ევროპული ქვეყნების გამოცდილებას და შექმნიდა ახალ რეალობას, რომელიც კეთილდღეობას მოუტანდა ქვეყნებს. მნიშვნელოვანი იყო, უმაღლესი განათლების ახალი სისტემის შექმნა, დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავება, ახალ რელსებზე გადასვლა, განათლების ხარისხის ეფექტიანობის და ხარჯების გაუმჯობესება. ბევრი მსგავსების მიუხედავად ესტონეთი, ლიეტუვა და ლატვია ერთმანეთისაგან განსხვავებული ქვეყნებია და შესაბამისად ქვეყნის განვითარების გზების სხვადასხვა აირჩიეს. როგორც აღნიშნავს ჯონბლოდი (Jongbloed 2010), უმაღლესი განათლების დაფინანსების პოლიტიკა და გამოწვევები მრავალმხრივია და მოიცავს, როგორც ფინანსურ, ასევე სტრუქტურულ და სოციალურ ასპექტებს. ქვეყნები მუდმივად ცდილობენ უზრუნველყონ განათლების მაღალი ხარისხი და ხემისაწვდომობა, თუმცა ბუნებრივია აწყდებიან მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს და გამოწვევებს. **ესტონეთი**, როგორც სავალდებულოს, 7-დან - 17 წლამდე ასაკის მოზარდებისთვის განათლებას წარმართავს სრულიად უფასოდ. მოსწავლეებისთვის და შემდეგ სტუდენტებისთვის განათლების მიღება გამოირჩევა ინოვაციურობით, საგანმანათლებლო

ს. გოგიაშვილი

სივრცეში ერთიანდება ციფრული საზოგადოება, ელექტრონულ სწავლების დანერგვა კი, ხელს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებას ადრეული ასაკიდან, რაც მოზრდილ ასაკში აყალიბებს ციფრული წიგნიერების მცოდნე საზოგადოებას. უმაღლესი განათლების დაფინანსების ძირითადი წყარო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებია, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 1.5%-ია, რომლითაც დაფინანსებულია სწავლის საფასური ესტონურენოვან პროგრამებზე, სხვა უცხოენოვან პროგრამებზე სწავლის გადასახადი მოქმედებს სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. ამის გარდა უნივერსიტეტები სარგებლობენ დამატებითი შემოსავლებით, ეს შესაძლოა იყოს კვლევითი გრანტები, კერძო სექტორთან თანამშრომლობა და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტები.¹ **ლატვიაში** 5-დან 16 წლამდე განათლება უფასო და სავალდებულოა. განათლების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლეების განვითარებაზე, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების შექმნას და განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე. უმაღლესი განათლების დაფინანსება ხდება, როგორც სახელმწიფოს მხრიდან განსაზღვრულ ადგილებზე, სადაც ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა დაახლოებით მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 1%-ია.² **ლიეტუვაში**, 6 დან - 16 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განათლება სავალდებულო და უფასოა. ქვეყანა ორიენტირებულია განათლება გახადოს პრიორიტეტული, წახალისოს სტუდენტები და მათ შესძინოს ახალი უნარ-ჩვევები, ჩამოუყალიბოს კრიტიკული აზროვნება და მოიზიდოს საერთაშორისო სტუდენტები. აღსაღნიშნავია, რომ არსებობს პროფესიული და ტექნიკური განათლების მიმღები დაწესებულებები. ისევე, როგორც ბევრ ქვეყანაში ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც განათლება შედგება საფეხურებისგან ეს არის, ადრეული განათლება, რომელიც საკმაოდ განვითარებულია და ორიენტირებულია ბავშვების კოგნიტურ განვითარებაზე და მომზადებაზე მომავალი წარმატებისთვის. დაწყებითი და საშუალო სკოლები, წარმოდგენილია, საგნებით, რომლებიც გაწერილია სასწავლო გეგმებით, ასევე ყურადღება ექცევა უძველესი ისტორიის და კულტურის შენარჩუნებას, ლიტერატურის და ისტორიის ღრმა ცოდნას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა უმაღლესი განათლების დაფინანსებაზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 12%-ს შეადგენს.³ სახელმწიფო აფინანსებთ სტუდენტებს გარკვეულ დარგებში, დანარჩენს კი თვითონ უწევს თვითდაფინანსება.

¹ "Education System in Estonia." Accessed March 4, 2025. <https://www.hm.ee/en/activities/education>

² "Education System in Latvia." Accessed March 4, 2025. <https://www.izm.gov.lv/en/education>

³ Eurydice - National Education Systems: Lithuania." Accessed March 4, 2025. <https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/lithuania/overview>

როგორც აღნიშნავენ ერინსი და ერინა (Erins and Erina 2017), დაფინანსების პოლიტიკაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის განათლების დაფინანსება და ეფექტიანი პოლიტიკის გატარება განათლების მიღების სურვილს უჩენს ყველა დაინტერესებულს პირს, ეს ერთგვარი შეთავაზებაა მოსწავლეებისთვის უზრუნველყონ საკუთარი ღირსეული კარიერის შექმნა. ქვეყნები მუდმივად ცდილობენ გაზარდონ დაფინანსების წყაროები.

ცხრილი 1. ბალტიისპირეთის ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების წყაროები

დაფინანსების წყარო	ესტონეთი	ლატვია	ლიეტუვა
სახელმწიფო ბიუჯეტი	65%	60%	62%
სტუდენტების გადასახადები	18%	22%	20%
კერძო სექტორის ინვესტიციები	8%	7%	9%
საერთაშორისო გრანტები და პროგრამები	5%	7%	6%
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები	4%	4%	3%

წყარო: Estonian Ministry of Education and Research. “Higher Education Funding Strategy 2020-2030.” Last modified January 2024 (გადამოწმებულია 2025 წლის 10 თებერვალს).

კრიტიკულად მნიშვნელოვანია, როგორც შესაბამისი ინფრასტრუქტურულად გამართული გარემოს შეთავაზება, ასევე ახალი ტექნოლოგიების და სასწავლო პროგრამების შესაბამისი კვალიფიციური კადრით უზრუნველყოფა. რატომ არის მნიშვნელოვანი გამართული დაფინანსების სისტემის არსებობა და რა გავლენის მოხდენა შეუძლია მას განათლებაზე? პირველი შეიძლება განვიხილოთ, განათლების ხარისხის გაუმჯობესება - დაფინანსების საკმარისი რაოდენობით მიწოდება საგანმანათლებლო დაწესებულებებს საშუალებას აძლევთ უზრუნველყონ მაღალი ხარისხის განათლების მიწოდება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა საშუალებას ქმნის ჩატარდეს კვლევები, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კუთხით, მოზიდულ იქნეს კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები ადგილობრივი თუ საერთაშორისო ბაზებიდან, ფინანსები უზრუნველყოფს ლიტერატურული, კვლევითი ბაზების მუდმივად განახლებულ ვერსიებთან წვდომას, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს მუდმივად გრძნობდნენ თავიანთი პროფესიის მაჯის ცემას. დაფინანსების სისტემის გამართულობა ხელს უწყობს სტუდენტებს, მათთვის განათლება გახდეს თანაბარხელმისაწვდომი, სხვადასხვა სტიპენდიების, გრანტების საშუალებით მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებში,

ს. გოგიაშვილი

კონგრესებში, ტრენინგებში, კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებში და ვორქშოპებში მონაწილეობა. გაამყარონ კვლევითი უნარ ჩვევები და ხელი შეუწყონ თავიანთ მეცნიერ ხელმძღვანელებთან ერთად ინოვაციური პროექტების და კვლევების შექმნას, რაც იქნება ეკონომიკური თუ სოციალური განვითარებისკენ წინ გადადგმული ნაბიჯი. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში უმაღლესი განათლების დაფინანსების მრავალფეროვანი მოდელები არსებობს, რომელთა მიდგომები ერთმანეთისგან განსხვავებულია. ბალტიისპირეთის ქვეყნების უმაღლესი განათლების დაფინანსების გადანაწილება ყველა ქვეყნისთვის განსხვავებულია, მაგრამ მიზანი ერთია, სწავლის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ყველა ქმედითუნარიანი და მოტივირებული სტუდენტისთვის, ასევე ორიენტირებულები არიან საგანმანათლებლო დაწესებულებები უზუნველყონ ფინანსური რესურსებით. ბალტიისპირეთის ქვეყნების უმაღლესი განათლების დაფინანსების ევოლუცია მზარდია (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 2. ბალტიისპირეთის ქვეყნების უმაღლესი განათლების დაფინანსების ევოლუცია (მილიონი ევრო)

წელი	ესტონეთი	ლატვია	ლიეტუვა
2015	210	180	250
2018	245	205	285
2021	280	230	325
2024	320	260	370

წყარო: World Bank Group. Higher Education in the Baltic Region: Financing Mechanisms and Their Effectiveness. Washington, DC: World Bank, 2023. (გადამოწმებულია 2025 წლის 2 იანვარი).

ევროპაში ესტონეთის, განათლების სიტემა ცნობილია, როგორც სრულყოფილი, თავისი მახასიათებლებით, როგორებიცაა: ხელმისაწვდომობა, ინკლუზიურობა, მხარდაჭერა და თანაბარი ხელშეწყობა, მოქალაქეებისთვის. მსოფლიოს მასშტაბით, უმაღლესი განათლება განიხილება, როგორც ინვესტიცია და გამონაკლისი არც ესტონეთია. ქვეყანაში განათლების დონე საკმაოდ მაღალია, ბოლო კვლევებით ესტონეთში მცხოვრებ ყოველი მეხუთე ადამიანიდან ერთს აქვს მაგისტრის ხარისხი, ამას ადასრურებს სტატისტიკური მონაცემებიც, ადასტურებს ცალკე განხილვას იმსახურებს ციფრული წიგნიერება და ტექნოლოგიების ცოდნის გაზიარება, თანამედროვე სამუშაო ძალისთვის ახალი უნარების ფორმირება. წლების მიხედვით სტუდენტების რაოდენობა განსხვავებულია (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3. ესტონეთში, ჩარიცხვა ფორმალურ განათლებაში განათლების ტიპისა და დონის მიხედვით | 2020 – 2023 სასწავლო წელს (ერთეული: ათასი)

სასწავლო წელი	უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა
2020	45.3
2021	44.6
2022	44.1
2023	43.9

წყარო: სტატისტიკურ მონაცემთა ბაზა: HTG03 (https://andmed.stat.ee/en/stat/sotsiaalelu_haridus_hariduse-uldandmed/HTG03, გადამოწმებულია 2025 წლის 20 თებერვალს).

მე-3 ცხრილიდან ირკვევა, რომ უმაღლეს განათლებაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა წლების მიხედვით კლებადია, ამის გამომწვევი რამოდენიმე მიზეზი შეიძლება განვიხილოთ ესაა, დემოგრაფიის ცვლილებები, ემიგრაცია, სასწავლო პროგრამების კონკურენცია, ეკონომიკური ფაქტორები. სტუდენტთა რაოდენობის ზრდის მიზნით შეიძლება განხორციელდეს საერთაშორისო სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა, სასწავლო პროგრამების ცვლილება, ხარისხის გაუმჯობესება, სტუდენტთა მხარდაჭერის გაზრდა ფინანსური თვალსაზრისით.

2024-2025 საწავლო წელს ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იყო 18 საგანმანათლებლო დაწესებულება, ესტონეთში უმაღლესი განათლება ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.¹ დაფინანსების წყაროებს შორის წამყვანი ადგილი სახელმწიფო ბიუჯეტს ეკუთვნის, რომელიც ფარავს სწავლების, ადმინისტრაციულ ხარჯებს, ინვესტიციებს და ოპერაციულ ხარჯებს. სახელმწიფო დაფინანსება შედგება 3 კომპონენტისგან, ბაზისური დაფინანსება - რომელიც განკუთვნილია უნივერსიტეტის საოპერაციო ხარჯებისთვის, შედეგზე ორიენტირებული დაფინანსება - რომლის გადანაწილება ხდება, კურსდამთავრებულთა რაოდენობის და დასაქმების მიხედვით, საერთაშორისო სტუდენტთა რაოდენობით, კვლევების და საერთაშორისო პუბლიკაციების მიხედვით, ასევე ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობით. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ევროკავშირის სტრუქტურულ ფონდებს, რაც ზრდის განათლების სისტემის განვითარებას. ესტონეთში სტუდენტების დაფინანსება ხდება სახელმწიფო გრანტებით, რომელიც შეთავაზებულია სახელმწიფოს მხრიდან და დაფუძნებულია საჭიროებაზე, აკადემიურ

¹ “Education System in Estonia.” Accessed March 4, 2025. <https://www.hm.ee/en/activities/education>

ს. გოგიაშვილი

მიღწევებზე და შეადგენს 350 ევროს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ხოლო დოქტორანტურის სტუდენტებისთვის 660 ევროს. ასევე არსებობს სტიპენდიები, რომელიც შეთავაზებულია, როგორც უნივერსიტეტების მხრიდან ისე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, მათი ღირებულება გაწერილია მათი შეთავაზებებიდან გამომდინარე. პოპულარობით სარგებლობს სტუდენტური სესხები და სტუდენტური სამუშაოები, სრული განაკვეთით სტუდენტებს შეუძლიათ მიმართონ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერილ სტუდენტურ სესხებს, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტებს. სტუდენტურ სესხებზე მოთხოვნის გაზრდამ აჩვენა, რომ საჭიროა სტუდენტური სესხის ლიმიტის გაზრდა 6000 ევრომდე, ეს ხელს შეუწყობს სტუდენტებს ორიენტირი გააკეთონ განათლების მიღებაზე და არა სამუშაოზე, განსაკუთრებით მათ ვინც ნაკლებად პრივილეგირებულ ფენას წარმოადგენს.

ესტონეთში 2014 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს საჭიროებებზე დაფუძნებული ფინანსური დახმარება, რომლის მიზანია უზრუნველყოს ყველა სტუდენტი უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობით. ესტონეთში უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემა გამორჩეულია ინოვაციური მიდგომებით და უპირატესობას ანიჭებს ესტონურ ენაზე სწავლებას, რომელიც სრულიად უფასოა. ესტონეთში უმაღლესი განათლების დაფინანსება შეადგენს მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დაახლოებით 1.5-1.7%-ს. მშპ-სთან მიმართებაში, ქვეყანა უმაღლეს განათლებაზე ხარჯავს დაახლოებით 1.2-1.4%-ს, რაც ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან (1.3%) ახლოსაა. უფრო მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მთლიანი განათლების ბიუჯეტიდან უმაღლეს განათლებაზე გამოყოფილი თანხების წილი, რომელიც ესტონეთში დაახლოებით 20-22%-ს შეადგენს. სწორედ ეს მაჩვენებლები განსაზღვრავს ესტონეთის უმაღლესი განათლების სისტემის ეფექტურობას. უმაღლესი განათლების დაფინანსება მშპ-ს 1,5 პროცენტიდან 1,1 პროცენტამდე შემცირდა.¹ ქვეყნის პოლიტიკის ცვლილებამ გააძლიერონ ეკონომიკა და სამხედრო პოლიტიკა გავლენა მოახდინა უმაღლესი განათლების დაფინანსებაზე. კვლევებით, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორთა დაკვეთით ჩატარდა, აჩვენა, რომ უმაღლეს განათლებაში ჩადებული ყოველი ევრო შვიდჯერ მეტი შემოსავალს იძლევა. დაფინანსებას მიმდინარე ქვეყანაში გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები დადებითია, სოციალური მობილობა, რომელსაც განათლების

¹ European Students' Union. "BM88: Resolution on the Higher Education Budget Cuts in Estonia." December 4, 2024. [https://esu-online.org/policies/bm88-resolution-on-the-higher-education-budget-cuts-in-estonia/\[2\]\(https://esu-online.org/policies/bm88-resolution-on-the-higher-education-budget-cuts-in-estonia/\)](https://esu-online.org/policies/bm88-resolution-on-the-higher-education-budget-cuts-in-estonia/[2](https://esu-online.org/policies/bm88-resolution-on-the-higher-education-budget-cuts-in-estonia/))

სისტემა უწყობს ხელს, ასევე სხვადასხვა დაფინანსების მოდელები ხელს უწყობენ ხელმისაწვდომობის გაზრდას. უარყოფითად შეგვიადლია განვიხილოთ დაფინანსების არაეფექტიანობა, რომელიც გამოწვეულია რესურსების არასწორი გადანაწილებით. სახელმწიფო დაფინანსების გარდა მნიშვნელოვანია დაფინანსების სხვა გზების მოძიება იმიტომ რომ უნივერსიტეტები და სტუდენტები სრულად არ იყვნენ დამოკიდებული სახელმწიფო გადაწყვეტილებებზე.

ლიეტუვას უმაღლესი განათლების სისტემა ბოლო პერიოდში გატარებული რეფორმების შედეგად ორიენტირებული გახდა ხარისხიანი, გლობალური ბაზრის შესაბამისი კადრის შექმნაზე, რაც გამოწვეულია სასწავლო პროგრამების განახლებით და განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობით. 2025 წელს ქვეყანაში 37 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, 19 უნივერსიტეტი და 18 კოლეჯი, ფუნქციონირებს უმაღლესი განათლებისადმი ინტერესი მზარდია ლიეტუვა, ამაზე მიუთითებს სტატისტიკური მონაცემები. ლიეტუვას უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა წლების მიხედვით ასე მზარდია (იხ. ცხრილი 4):.

ცხრილი 4. ლიეტუვას უმაღლეს დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა (ერთეული: ათასი)

სასწავლო წელი	უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა
2019-2020	104,000
2020-2021	104,000
2021-2022	473,700

წყარო: <https://osp.stat.gov.lt/statistiniu-rodikliu-analize?hash=cd47571a-d2ab-4751-884e-8991f9f2fa26#/> (გადამოწმებულია 2025 წლის 22 თებერვალს).

მეოთხე ცხრილიდან ირკვევა, რომ ლიეტუვაში უმაღლესი განათლებაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა მზარდია, რაც გამოწვეულია საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის ზრდით, რომელთა მოზიდვა ბოლო წლებში მუდმივად ხორციელდება, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო პროგრამების შექმნით, ეკონომიკური სტაბილურობით და განათლების ხარისხის გაუმჯობესებით.

განათლების ხარისხის გაუმჯობესება ქვეყნის მასშტაბით პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება, რაც სტუდენტებს აძლევს მეტ შესაძლებლობას. გასული წლის მონაცემებით ლიეტუვაში უმაღლესი განათლების დაფინანსება შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაახლოებით 1.2-1.4%-ს. მშპ-სთან მიმართებაში, ლიეტუვაში უმაღლეს

ს. გოგიაშვილი

განათლებაზე დახარჯული თანხა შეადგენს დაახლოებით 1.0-1.2%-ს, რაც ოდნავ ჩამორჩება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (1.3%). მთლიანი განათლების ბიუჯეტიდან უმაღლეს განათლებაზე გამოყოფილი წილი ქვეყანაში არის დაახლოებით 18-20%. 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უმაღლეს განათლებაზე და კვლევებზე გამოიყო 460 მილიონი ევრო, 2022 წელს 480 მილიონი ევრო, 2023 წელს კი 500 მილიონი ევრო.¹ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები უმაღლეს განათლებაზე გადანაწილებულია უნივერსიტეტების მიხედვით, პრინციპი რის მიხედვითაც ნაწილდება თანხები არის სტუდენტების რაოდენობა, აქტიური კვლევითი საქმიანობა, სოციალური სტიპენდიები, სესხები ასევე ზოგიერთი დაწესებულება სარგებლობს სპეციალური პროგრამებით, რომელთა მიზანია კონკრეტული სპეციალობის განვითარება. ქვეყანაში უმაღლესი განათლების სწავლის გადასახადი დამოკიდებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპზე, საგანმანათლებლო პროგრამაზე. სტუდენტების დაფინანსება ისევე, როგორც ბალტიისპირეთის სხვა ქვეყნებში ლიეტუვაშიც ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აქტუალურია სოციალური სტიპენდიები და სესხები. სახელმწიფოს მხრიდან გაღებული დაფინანსებით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთა შენარჩუნება ხდება, უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ხდება კვალიფიციური კადრების მოზიდვა, აქვე ყურადღება ექცევა უნივერსიტეტის ადგილმდებარეობას, რომლის მიხედვით ხდება საჭიროებების იდენტიფიკაცია და მათზე რეაგირება. უმაღლესი განათლების დაფინანსების სხვა წყაროები, რაც შეიძლება განვიხილოთ არის კონკრეტული გრანტები, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო უცხოური ფონდებიდან. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო სექტორის როლი. დადებითი მხარეები, რაც ახლავს უმაღლესი განათლების დაფინანსებას ლიეტუვაში არის, ხელმისაწვდომობა, რაც ამცირებს ფინანსურ ბარიერებს, ასევე აღნიშნავს იმსახურებს კვლევითი აქტივობებზე ყურადღების გამახვილებას, სტუდენტური სესხების და სტიპენდიების არსებობას. უარყოფითი რაც შეიძლება განვიხილოთ ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში არის არასაკმარისი თანხის ოდენობა, ან თანხების გადანაწილება რეგიონის უნივერსიტეტების მიხედვით, რაც არათანაბარ პირობებში აყენებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და გამოწვევა, რომელიც საერთოა სოციალური უთანასწორობაა.

ლატვიაში, ცენტრალური სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, 28

¹ Eurydice - National Education Systems: Lithuania.” Accessed March 4, 2025. <https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/lithuania/overview>

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 2025, N1(25)

უნივერსიტეტი და 24 კოლეჯი ფუნქციონირებს, 2023/2024 სასწავლო წელს კი უმაღლეს განათლებას 74000 სტუდენტი იღებდა, მხოლოდ ამ სასწავლო წელს ლატვიის უმაღლეს სასწავლებელში შევიდა 28900 სტუდენტი, რაც 2400 სტუდენტით მეტია წინა სასწავლო წელთან შედარებით.¹

ცხრილი 5. სტუდენტთა ჩარიცხვა სასწავლო წლის დასაწყისში (ერთეული: ათასი)

სასწავლო წელი	უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა
2020	78 585
2021	77 376
2022	75 368
2023	74 017

წყარო: <https://stat.gov.lv/en/statistics-themes/education/higher-education/press-releases/12214-topicalities-higher-education>, გადამოწმებულია 2025 წლის 22 თებერვალს).

მეხუთე ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით, სტუდენტთა რიცხოვნობა მზარდია, რაც გამოწვეულია სახელმწიფო ფინანსური ხელშეწყობით - განათლების დაფინანსებით და სხვადასხვა სტიპენდიების არსებობით, საერთაშორისო თანამშრომლობით, უნივერსიტეტების მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი და თანამედროვე სასწავლო პროგრამებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არიან დაარსებულნი დაფინანსებას იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ეს არის საბაზო დაფინანსება, რომელიც გათვლილია სასწავლო პროგრამების ჩამონათვალის ოპტიმალური რაოდენობისა და სტუდენტის რიცხოვნობისთვის. ეს არის ღირებულება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დაფაროს კომუნალურის, გადასახადების, ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის, ინვენტარის, აღჭურვილობის, სხვადასხვა საჭირო მომსახურების, კვლევის, პერსონალის განვითარების და ანაზღაურების ხარჯები. 2015 წელს ლატვიაში დაინერგა უმაღლესი განათლების დაფინანსების სამ საფეხურიანი მოდელი, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს, ის გულისხმობს საბაზო დაფინანსებას სასწავლო პროცესების უზრუნველსაყოფად, შესრულებაზე დაფუძნებულ დაფინანსებას და განვითარებაზე ორიენტირებულ დაფინანსებას. ლატვიაში უმაღლესი განათლების დაფინანსება შეადგენს სახელმწიფო

¹ "Education System in Latvia." Accessed March 4, 2025. <https://www.izm.gov.lv/en/education>.

ს. გოგიაშვილი

ბიუჯეტის დაახლოებით 1.0-1.2%-ს. უმაღლეს განათლებაზე დახარჯული თანხა შეადგენს მშპ-ს დაახლოებით 0.8-1.2%-ს, რაც ოდნავ ჩამორჩება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (1.3%). ლატვიაში, უმაღლესი განათლების დაფინანსების ძირითადი მახასიათებლებია, სახელმწიფო დაფინანსება, როგორც ინსტიტუციური ასევე პროგრამული, სტუდენტზე ორიენტირებული დაფინანსება, რომელიც მოიცავს სტუდენტურ სესხებსა და გრანტებს, უნივერსიტეტების ცალკეული დაფინანსებები კვლევებისთვის. ლატვია, სხვა ბალტიისპირეთის ქვეყნების მსგავსად ცდილობს გაზარდოს დაფინანსება და ეფექტურად გამოიყენოს კერძო წყაროები.¹

უმაღლესი განათლების მიღება შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსებით ან ინდივიდუალური გადახდებით. სწავლის საფასური ერიცხებათ სტუდენტებს, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს მაგრამ ვერ იღებენ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ადგილს. სწავლის საფასური კი განსხვავდება, როგორც დაწესებულებების ისე საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. თუმცა სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ფინანსური მხარდაჭერა სტიპენდიების, გრანტების, სესხების სახით ასევე აქვთ საშუალება ისარგებლონ სხვადასხვა ფასდაკლებებით სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებების მხრიდან. დიდი პოპულარულობით სარგებლობს სტუდენტური სესხები, რომელიც ორი სახისაა, ერთი სწავლის საფასურის დასაფარად ე.წ სასწავლო სესხი და მეორე ცხოვრების ხარჯების დასაფარად ე.წ სტუდენტური სესხი. ლატვიის მთავრობა ორიენტირებულია გაზარდოს ხელმისაწვდომობა, თუმცა ამის მიუხედავად ფინანსური შეზღუდვები მაინც არსებობს. ფინანსები ხშირად არ არის საკმარისი ყველა სტუდენტის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. საერთაშორისო პროგრამები, რომლებიც მრავლადაა ქვეყნის მასშტაბით დამატებით შესაძლებლობაა სტუდენტებისთვის, მიიღონ განათლება სხვადასხვა ქვეყანაში და გააფართოვონ ცოდნის არეალი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ბიუჯეტიდან მიღებულ თანხას აქტიურად მოიხმარენ ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, რაც ხელს უწყობს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმოებას. მაღალი კონკურენციის პირობებში სტუდენტებს უჭირს დაფინანსების მიღება.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები განათლებაზე შეზღუდულია, რაც გამოწვევის წინაშე აყენებს განათლების სისტემას, ამიტომ საჭიროა ალტერნატიული დაფინანსების გზების ძებნა. ყურადსაღებია გეოპოლიტიკური მოვლენები და პროცესები. უკრაინის ომმა გავლენა მოახდინა მის მეზობელ სახელმწიფოებზე, რაც კიდევ

¹ Europa. "Higher Education Funding." Eurydice. Last updated November 27, 2023.

<https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/lithuania/higher-education>

ერთხელ მიგვანიშნებს რამდენად მნიშვნელოვანია ყველა სფეროსთვის სტაბილური გარემო. გლობალური კონკურენციის პირობებში ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი ცდილობენ, როგორც თავიანთი სტრუქტურების მაღალი განათლებით უზრუნველყოფას ასევე გაცვლითი პროგრამებით მონაწილე სტრუქტურებისთვის ახალი შესაძლებლობის შექმნას. ფინანსური შეზღუდვების არსებობა გამოწვევად რჩება სახელმწიფო ბიუჯეტის, კერძო სექტორის თუ ევროკავშირის დაფინანსების მიუხედავად. კვლევითი ინსტიტუტები, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამები, მუდმივად საჭიროებენ განახლებული ინფრასტრუქტურის თუ ტექნოლოგიური პროგრამებით უზრუნველყოფის საჭიროებას. ციფრული სწავლების მეთოდების დანერგვა ბუნებრივია საჭიროებს დამატებით ფინანსურ რესურსს, რომლის მოგვარებას შესაძლებელია საჯარო და კერძო პარტნიორობის არსებობით. ეს კი, დაკავშირებულია დამატებითი ადმინისტრაციული ჩარჩოს შექმნასთან, რომლის შექმნაში მონაწილეობას ლებულობს ორივე მხარე.

ბალტიის ზღვის რეგიონის განათლებისა და ინოვაციების პოლიტიკები მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონულ განვითარებაში (The Baltic Sea Region 2023). უმაღლესი განათლების დაფინანსების გაუმჯობესება გამოწვევად რჩება ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის. მნიშვნელოვანია განათლების ხარისხის ამაღლება, სტრუქტურების დაფინანსების გაზრდა. შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსება (Performance-Based Funding, PBF - არის მოდელი, რომელიც დაფინანსებას აკავშირებს კონკრეტული შედეგების მიღწევასთან) ხელს შეუწყობს სტუდენტის წარმატებას და საგანმანათლებლო პროგრამების მაღალი ხარისხით მიწოდებას. საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება გაამრავალფეროვნებს გაცვლით პროგრამებს და გაზრდის ინტერნაციონალიზაციას. გამოწვევები, მოითხოვს კომპლექსურ მუშაობას იმისთვის, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებში უმაღლესი განათლება იყოს ხელმისაწვდომი და კონკურენტუნარიანი გლობალურ დონეზე. უმაღლესი განათლების ხელშეწყობა, როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის ისე ზოგადად მსოფლიოსთვის გამოწვევაა. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები, ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, მნიშვნელოვან ძალისხმევას მიმართავენ უმაღლესი განათლების სისტემების რეფორმირებისა და დაფინანსების მოდელის ოპტიმიზაციისკენ. მიუხედავად ამისა, სამივე ქვეყანაში უმაღლესი განათლების დაფინანსება მშპ-ს 0.8-1.5%-ის ფარგლებში მერყეობს, რაც ჩამორჩება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (1.3%), განსაკუთრებით კი ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებს. რეკომენდირებულია ბალტიისპირეთის ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემის

ს. გოგიაშვილი

განვითარების სრულყოფა, რაც მოითხოვს მუდმივ ფინანსურ მხარდაჭერას და სტრატეგიულ დაგეგმვას, რათა ქვეყნები გაუმკლავდნენ არსებულ გამოწვევებს და უზრუნველყონ განათლების მაღალი ხარისხის მიწოდება, დაინტერესებული პირებისთვის. ესტონეთი მუდმივად ცდილობს ციფრული განათლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით გაზარდოს, უმაღლესი განათლების მიმართ ინტერესი, ქვეყანა ორიენტირებულია კვლევითი უნივერსიტეტების განვითარებაზე, ლატვია აქცენტს აკეთებს პროგრამულ დაფინანსებაზე პრიორიტეტულ დარგებში, ხოლო ლიეტუვა იყენებს უფრო ფართო საგანმანათლებლო ვაუჩერების სისტემას. ევროკავშირის ჩართულობით და ფონდების მიერ გამოყოფილი თანხებით, დამატებით ხდება უმაღლესი განათლების სისტემის სრულყოფა და თანამშრომლობის გაძლიერება, სხვადასხვა ქვეყნებთან, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ერაზმუს+ და სხვა პროგრამებში. ვინაიდან მნიშვნელოვან, როლს ასრულებს ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება და კერძო ინვესტიციების მოზიდვა, რეკომენდირებულია საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა. გამოწვევების მიუხედავად უნდა აღინიშნოს, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს უმაღლესი განათლების სისტემის ევროპულ სტანდარტებთან, მისადაგებისა და ხარისხის ამაღლების კუთხით, რაც ბუნებრივია ზრდის ეკონომიკურ განვითარებას და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას, თუმცა ინოვაციური პროექტების, კვლევების მხარდაჭერა განავითარებს მეცნიერულ პროგრესს და ქვეყნებს შესძენს ახალ შესაძლებლობებს.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი განათლების დაფინანსების ეფექტიანი სისტემის შექმნა, დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე, რომელთაგან უმთავრესია, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება და ადგილობრივ რეალობასთან მისი ადაპტირება, სახელმწიფოს ჩართულობა უმაღლესი განათლება გახადონ პრიორიტეტული. მნიშვნელოვანია მოქნილი მექანიზმების დანერგვა, რომ არ მოხდეს "ტვინების" გადინება და შეიქმნა კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო სისტემა. მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების განსაზღვრული იყოს პრიორიტეტული ამოცანა, რომელიც ორიენტირებული მოდის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასთან. აუცილებელია რესტრუქტურისაცია, რომელიც მიდრეკილი იქნება კვლევითი სფეროს გაძლიერებისკენ. ბალტიისპირეთის ქვეყნები მუდმივად ცდილობენ გაზარდონ ქვეყნების ცნობადობა და კონკურენტუნარიანი იყვნენ გლობალური სივრცეში. გლობალიზაციის გავლენით, განათლების სისტემები, რომლებიც უნდა იყოს მოქნილი ზოგჯერ ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს. ახალი

შემოსავლის წყაროების ძებნა, კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაზრდა დამატებით შესაძლებლობებს ქმნის სტუდენტებსთვის.

კვლევის შედეგად გამოვლენილია ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც შეიძლება გამოადგეს საქართველოს უმაღლესი განათლების დაფინანსების პოლიტიკის რეფორმირებას. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება იმ ინსტიტუციურ და საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებიც აუცილებელია ბალტიისპირეთის წარმატებული გამოცდილების ეფექტიანად დადაპტირებისთვის საქართველოს რეალობაში. წინამდებარედ, წარმოდგენილია ის ძირითადი გზა, რომელიც ბალტიისპირეთის ქვეყნებმა გაიარეს კონკრეტულ ვითარებებში უმაღლესი განათლების დაფინანსების ეფექტიანობის გასაზრდელად, რაც უზრუნველყოფს სისტემის მდგრადობას, ხარისხის გაუმჯობესებას, ხელმისაწვდომობის გაზრდას და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. საქართველომ ლიტვის მსგავსად უკვე გამოყო პრიორიტეტული მიმართულებები, რომელიც სრულიად დაფინანსებულია სახელმწიფოს მხრიდან, ხოლო რეკომენდაციები, რომლებიც საქართველომ შეიძლება გაითვალისწინოს უმაღლესი განათლების დაფინანსების გაუმჯობესების კუთხით შეიძლება იყოს: შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების შექმნა ესტონური მოდელის გათვალისწინებით. ფინანსური ავტონომიის გაძლიერება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, როგორც ლატვიაში. კერძო სექტორთან მჭიდრო ურთიერთკავშირი, დაფინანსების არა ერთი, არამედ შერეული მოდელები, რომლებიც გაზრდის სტუდენტთა რაოდენობას.

ლიტერატურა

- Erins, Ingars, and Jana Erina. 2017. *Assessment of the Factors Influencing Higher Education Funding Policies*. Riga Technical University.
- “Education System in Latvia.” Accessed March 4, 2025. <https://www.izm.gov.lv/en/education>.
- “Education System in Estonia.” Accessed March 4, 2025. <https://www.hm.ee/en/activities/education>
- “Eurydice - National Education Systems: Estonia.” Accessed March 4, 2025. <https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/estonia/overview>
- “Eurydice - National Education Systems: Lithuania.” Accessed March 4, 2025. <https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/lithuania/overview>

ს. გოგიაშვილი

- “Eurydice - National Education Systems: Lithuania.” Accessed March 4, 2025. <https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/lithuania/overview>
- “Education in Estonia.” Accessed March 4, 2025. <https://www.studyinestonia.ee/en/education-system>
- Jongbloed, Ben. 2010. *Funding Higher Education: A View Across Europe*. Brussels: ESMU.
- Švietimo, mokslo ir sporto ministerija. “Education.” Accessed March 4, 2025. https://smsm.lrv.lt/en/sector-activities/education_1/
- “The Baltic Sea Region: Education, Research, Innovation, and Training Policies.” 2023. In *EU Strategy for the Baltic Sea Region*, edited by Springer. The Ministry of Education and Science. “Education System in Latvia.” Accessed March 4, 2025. <https://www.izm.gov.lv/en/education-system-latvia>
- The Ministry of Education and Research. “General Education in Estonia.” Accessed March 4, 2025. <https://www.hm.ee/en/education-research-and-youth-affairs/general-education/general-education-estonia>.

Finance

Higher Education Funding Policies and Challenges in the Baltic Countries

Salome Gogiashvili

salome.gogiashvili@atsu.edu.ge
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.15>

The present paper examines the higher education funding policies and challenges of the Baltic countries (Estonia, Latvia, and Lithuania). The aim of the paper is to determine the possibilities of applying this experience in the Georgian context. The significance of the research is due to the fact that Georgia, on its path to European integration, faces the necessity of reforming its higher education system, in which improving funding policy plays an important role. The experience of the Baltic countries, as successful examples from the post-Soviet space, represents a valuable resource for achieving this goal. Specific recommendations are presented to increase the effectiveness of higher education funding, which Georgia can use to promote system sustainability, quality improvement, and increased accessibility. Particular emphasis is placed on the institutional and legislative changes necessary for effectively adapting the successful Baltic experience to Georgian reality.

Keywords: *Education in the Baltic countries; students; higher education funding policy; state funding; grants; reforms; European Union.*

Georgia's higher education funding system faces significant challenges in terms of effectiveness. The Baltic countries represent an important and valuable example for Georgia as these countries share many commonalities, including post-Soviet experience, aspiration towards European integration, and small-sized economies. There are reasons why the current topic "Higher Education Funding Policies and Challenges in the Baltic Countries" is important and valuable for Georgia and why I am examining in depth what the reality is today and what challenges they face. These include sharing successful reforms, creating innovative funding models, effective use of resources available to the European Union, considering and aligning with labor market demands, strengthening research funding, and innovation. After the collapse of the Soviet Union, the Baltic countries faced many challenges. On May 1, 2004, after the accession of Estonia, Lithuania, and Latvia to the European Union, it was necessary to implement new reforms that would allow them to benefit from the experience of successful European countries and create a new reality that would bring prosperity to the countries. Undoubtedly, the reform affected the higher education system. It was important to create a new system of higher education, develop an innovative funding model, put this system on new rails, improve the quality and cost-effectiveness of education. Despite many similarities, Estonia, Lithuania, and Latvia are different countries from each other, and, accordingly, they have chosen different paths of development. The policies and challenges of funding higher education are multidimensional and include financial, structural, and social aspects. Countries are constantly trying to ensure high quality and accessibility of education, although they naturally face significant obstacles and challenges.

In Estonia, the higher education funding system is distinguished by its innovative approaches and gives priority to teaching in Estonian, all of which is completely free. In Estonia, higher education funding accounts for approximately 1.5-1.7% of the total state budget. In terms of GDP, the country spends approximately 1.2-1.4% on higher education, which is close to the EU average (1.3%). The more important indicator is the share of funds allocated for higher education from the total education budget, which in Estonia is approximately 20-22%. It is these indicators that determine the efficiency of the Estonian higher education system. The main features of the higher education funding system are as follows: a public funding model, state funding, results-based funding, a three-component formula for funding that includes basic funding, results-based funding and development-

ს. გოგიაშვილი

oriented funding. The student support system is working successfully, including scholarships to outstanding students, social assistance, and student loans. The country is considering international grant projects, private investments, and EU structural funds as supplementary sources of funding.

The higher education funding system in Lithuania is characterized by several important features, with funding differentiated on fields. Exact sciences, technology, engineering, and mathematics receive more funding than social sciences and humanities. According to last year's data, higher education funding in Lithuania accounts for approximately 1.2-1.4% of the state budget. In relation to GDP, the amount spent on higher education in Lithuania is approximately 1.0-1.2%, which is slightly below the EU average (1.3%). The share of the total education budget allocated for higher education in the country is approximately 18-20%. State funding is provided to students, which creates a student-oriented funding model. Funding varies depending on the level of study, and research funding is allocated separately, which creates additional opportunities for research students. The country constantly aims to increase financial support for students through the availability of various scholarships, as well as offering additional sources of funding, such as Horizon Europe, Erasmus+, international or local grant and other programs.

Latvia has a student-oriented funding system, which consists of several components. In Latvia, higher education funding accounts for approximately 1.0-1.2% of the state budget. The amount spent on higher education is approximately 0.8-1.2% of GDP, which is slightly below the EU average (1.3%). The main features of higher education funding in Latvia are state funding, both institutional and programmatic, student-oriented funding, which includes student loans and grants, and separate funding for research by universities. Latvia, like other Baltic countries, is trying to increase funding and effectively use private sources of funding.

The major challenges facing the Baltic countries in terms of financing higher education are associated with the lack of funds. The study presented in the article shows that higher education funding in the Baltic countries is approximately 0.8-1.5% of GDP, which is lower than the EU average (1.3%). Insufficient funding prevents the renovation of infrastructure and laboratories, which is directly linked to the provision of quality education. Migration and demographic changes lead to a decrease in the number of students, which in some countries leads to financial challenges. In a highly competitive environment, countries try to be constantly in demand in the market and also prevent brain drain. The distribution of funds for higher education by region creates an additional barrier and puts in unequal

conditions educational institutions in the regions, where funding is relatively low, unlike higher education institutions in the country's capital.

The results of the study show that the Baltic States, after joining the European Union, have made significant efforts to reform their higher education systems and optimize their funding models. Nevertheless, in all three countries, higher education funding ranges from 0.8-1.5% of GDP, which is below the EU average (1.3%), especially below the indicators of the Northern European countries. It is recommended to improve the development of the higher education system in the Baltic states, which requires continuous financial support and strategic planning, so that the countries can cope with the existing challenges and ensure the provision of high-quality education to interested individuals. Estonia is constantly trying to increase interest in higher education by organizing digital education infrastructure. The country is focused on the development of research universities, Latvia focuses on programmatic funding in priority fields, while Lithuania uses a broader educational voucher system. With the involvement of the European Union and donations from foundations, the higher education system is being further improved, and cooperation is being strengthened with various countries that actively participate in Erasmus+ and other programs. Since deepening cooperation with the business sector and attracting private investment play an important role, it is recommended to increase international cooperation. Despite the challenges, it should be noted that the Baltic countries have made significant progress in terms of adapting their higher education systems to European standards and improving their quality, which naturally increases economic development and international competitiveness, however, supporting innovative projects and research will accelerate scientific progress and provide countries with new opportunities. Similar to Lithuania, Georgia has already identified priority fields that are fully funded by the state, while recommendations that Georgia could consider to improve higher education funding might include: creating results-based funding, taking into account the Estonian model, strengthening financial autonomy for higher education institutions, as in Latvia, close relationships with the private sector, not just one but mixed funding models that would increase the number of students.